ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3717997

ნომერი: AR1561733

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 05.12.2017

გაცნობის თარიღი : 06.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურმა განიხილა2017 წლის 30 ნოემბრის AR1561733 განცხადება, რომლითაციითხოვთ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწისნაკვეთზე (საკადასტროკოდი: №01.72.14.040.630 (ფართობი: 1400 მ^2)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად 2015 წლის 23 ოქტომბერს №2258492 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ახალი საკადასტრო ერთეულის დამატების მიზნით.

პასუხადგაცნობებთ, რომ აქტი რომელში გსურთ ცვლილების განხორციელება დამტკიცებულია N01.72.14.040.630 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე რომლის ფართობიც იყო 1400 კვ.მ. დღევანდელი მდგომარეობით მოხდა N01.72.14.040.630 და N01.72.14.040.145 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება, რის შედეგადაც წარმოიქმნა N01.72.14.040.684 (ფაროობი:2650 კვ.მ.) საკადასტრო კოდით დარეგიქსირირებული მიწის ნაკვეთი. ამჯერად ითხოვთ დამოუკიდებლად სამშენებლო განვითარებისთვის სრულყოფილ მიწის ნაკვეთზე იმ სამშენებლო პირობების გავრცელებას, რომელიც სამსახურმა 2015 წლის 23 ოქტომბერს №2258492 ბრძანებით დაამტკიცა მხოლოდ #01.72.14.040.630 საკადასტრო ერთეულზე, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რამეთუ N01.72.14.040.145 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია დამოუკიდებლად ახალი რეგულაციების ფარგლებში.

2015 წლის 23 ოქტომბრის №2258492 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების საკითხს სამსახური განიხილავს საპროექტო არეალის თავდაპირველ ფართობამდე დაყვანის შემდეგ აქტში განახლებული საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად.

აღნიშნულიდან გამპომდინარე ამ ეტაპზე სამსახური თქვენს 2017 წლის 30 ნოემბრის AR1561733 განცხადებას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.